# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 0 23 0000545088

16/05/2023

**სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თურქოლოგიის“, ,,ფრანგული ფილოლოგიის“, ,,სლავური ფილოლოგიის“ საბაკალავრო და ,,ევროპული ენები და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ**

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 25 აპრილის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისშუამდგომლობა და „თურქოლოგიის“, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისსტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2023 წლის 01 მაისიდან 2023 წლის 01 აგვისტომდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისშუამდგომლობა და ,,ფრანგული ფილოლოგიის“, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისსტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2023 წლის 01 მაისიდან 2023 წლის 01 აგვისტომდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისშუამდგომლობა და ,,სლავური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისსტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2023 წლის 01 მაისიდან 2023 წლის 01 აგვისტომდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
4. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისშუამდგომლობა და ,,ევროპული ენები და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამისსტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2023 წლის 01 მაისიდან 2023 წლის 01 აგვისტომდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 მაისის №544968 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი